პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კვირა, 11 მაისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 495 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 85.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## საფრანგეთის პარლამენტის არჩევნებისათვის.

დღეს დაიწყება საფრანგეთის პარლამენტის არჩევნები.

უკანასკნელი არჩევნები საფრანგეთში მოხდა 1919 წელს. მაშინ საფრანგეთი დღესასწაულობდა ბრწყინვალე გამარჯვებას გერმანიაზე. გამარჯვებით დამთვრალი საფრანგეთის ხალხი არავითარ ანგარიშს არ უწევდა მდგომარეობას. მან დაუფიქრებლად მისცა ხმა მძიმე ინდუსტრიის ინტერესების გამომხატველს ე. წ. „ნაციონალურ ბლოკს". მილიერან—პუანკარეს მეთაურობით ნაციონალურმა ბლოკმა არჩევნებში მიიღო დიდი უმრავლესობა. ის გახდა ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი. მისგან მოელოდა ხსნას და შველას საფრანგეთის როგორც მსხვილი კაპიტალი, ისე საშუალო და წვრილი ბურჟუაზია.

მის შემდეგ გავიდა ხუთი წელი. როგორც საფრანგეთის, ისე საერთაშორისო მდგომარეობა მას აქეთ ძირფესვიანად გამოიცვალა.

ნაციონალურ ბლოკის მთავრობამ ვერ გაამართლა ამომრჩეველთა იმედები.

გერმანიიდან საფრანგეთმა ვერ მიიღო კონტრიბუცია. სარეპარაციო საკითხები არ მოგვარდა. პუანკარე გადავიდა შეტევაზე გერმანიის წინაალმდეგ და დაიკავა რური. რურის ავანტიურა პუანკარესათვის მარცხით დამთავრდა. რურის დაკავებამ კიდევ უფრო გაამწვავა სარეპარაციო საკითხი. ნახშირს საფრანგეთი რურის დაკავების შემდეგ გაცილებით ნაკლებს ღებულობს, ვიდრე მანამდის ღებულობდა. რურის მრეწველობა ვერ დაიმორჩილა პუანკარემ.

რურის ოკუპაციას კი დიდი ხარჯები დასჭირდა. საფრანგეთს სესხის აღება არსაიდან არ შეეძლო. ამიტომ მან გადასახადებს მიმართა. გადასახადების რაოდენობა 20 პროცენტით გაიზარდა. ფრანკი დაეცა. პუანკარეს მთავრობა ფინანსიურ კრახის წინაშე დადგა.

მეორე მხრივ ნაციონალურ ბლოკის ბატონობამ გააუარესა საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა. ინგლისთან ურთიერთობა გამწვავდა. საბჭოთა კავშირის ცნობით ინგლისმა გასწრო საფრანგეთს. არც იტალიასთან არის საფრანგეთი კარგად განწყობილი. აღმოსავლეთში შეირყა საფრანგეთის ავტორიტეტი. საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება არაფრად შეცვლილა. პუანკარემ არ იცნო საბჭოთა კავშირი. პირიქით, მის წინააღმდეგ აწარმოებს ათასგვარ ინტრიგებს და მტრულადაა განწყობილი საბჭოთა კავშირთან. სამაგიეროთ საფრანგეთმა გაიჩინა მოკავშირეებათ პატარა სახელმწიფოები: რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია, რომლებსაც აწვდის იარაღს და საომარ მასალებს. დღეს თვით საფრანგეთი მილიტარიზმის საშინელ უღელ ქვეშ გმინავს.

ასეთ „მიღწევებით" გამოდის დღეს ნაციონალური ბლოკი არჩევნებში. მის წინააღმდეგირაზმება „მემარცხენე ბლოკი" რადიკალების, რადიკალ-სოციალისტების და სხვების მეთაურობით, რომლებიც გამოხატავენ საბანკო, საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს. რა განსხვავებაა ამ „ბლოკებს" შორის? თითქმის არავითარი. მაგრამ „მემარცხენე ბლოკი" ზომიერია თავის მიზნებისათვის ბრძოლაში. თუ ის გამარჯვებული გამოვიდა არჩევნებიდან, საფრანგეთის საერთო პოლიტიკა ცოტათი შეიცვლება.

სოციალ-შემთანხმებლები არჩევნებში დამოუკიდებლად გამოდიან. მაგრამ ისინი ბევრად არ განსხვავდებიან თავიანთ მოთხოვნილებით „მემარცხენე ბლოკისაგან." არჩევნების შემდეგ ისინი პარლამენტში მხარს დაუჭერენ „მემარცხენე ბლოკს."

კომუნისტურ პარტიას უთუოდ გამარჯვება მოელის არჩევნებში. თუმცა საფრანგეთის მთავრობა მიმართავს მის წინააღმდეგ ყოველგვარ ზომებს, მაგრამ როგორც გერმანიაში არ გასჭრა ფაშისტურმა ტერორმა კომუნისტების წინააღმდეგ, არც საფრანგეთში გასჭრის.

საფრანგეთის პოლიტიკურ ძალთა განწყობილებას დაახლოებით მომავალი არჩევნები გვაჩვენებს.

## რადიო-დეპეშები

— ინდოეთში მძვინვარებს ხოლერა, რომელმაც ამ უკანასკნელ კვირაში მრავალი ათასობით ადამიანები იმსხვერპლა.

— საფრანგეთში ბენდანიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს შორეული მიწის ძვრა, რომლის ზონა აღმოსავლეთ აზიაში უნდა იყოს.

— მაროკოში სისხლის მღვრელი შეტაკებები სწარმოებს ესპანეთის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის.

— კუნძ. კუბის რევოლიუციონერთა აჯანყება ჩააქვრეს.

— რუმინეთის მთავრობა ჯარებს აგროვებს ბესარაბიის საზღვრებზე.

— ლატვიაში აღმოაჩინეს მონარქისტთა ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი ქონდა რუსეთის თეთრგვარდიელებთან და გერმანიის მონარქისტებთან.

— განზრახულია ბალტიის სახელმწიფოთა შორის სამხედრო კავშირის შექმნა.

## ბერლინში მომხდარ ინციდენტის გარშემო.

### საუბარი ს. ს. ს. რ. თავმჯდომარესთან.

როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს ს. ს. ს. რ. თავმჯდომარე ამხ. რიკოვმა განაცხადა, რომ გერმანიაში შექმნილი მდგომარეობა ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის გამო მეტად სერიოზულია. ჩვენი ნორმალური კომერციული მოქმედება გერმანიაში შეუძლებელია, სანამ ჩვენ არ მივიღებთ სრულ დაკმაყოფილებას და უტყუარ გარანტიას, რომ მომავალში ამის მსგავსი არაფერი განმეორდება.

### რეაქციონურ ევროპის ნდობისთვის.

სავაჭრო წარმომადგენლობაზე გაძლიერებულ პოლიციის რაზმის თავდასხმა აიხსნება იმით, რომ გერმანიის მთავრობას ამით უნდოდა რეაქციონური ევროპის ნდობა დაემსახურებია.

### საუბარი კრასინთან.

### ჩვენ უფლებებს არავის დავარღვევინებთ.

როსტას კორესპონდენტთან საუბარში საგარეო ვაჭრობის კომისარმა ამხ. კრასინმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა უსათუოდ ფიქრობდა, რომ ჩვენი დიდი ხნის მოთმინება იყო გამოწვეული ჩვენი სისუსტის გამო. მაგრამ მალე მომავალი უჩვენებს, თუ რამდენად გაუმართლებელი ყოფილა ის. საბჭოთა მთავრობა მთელ მსოფლიოში ერთად ერთი მშვიდობიანობის მოყვარული მთავრობაა და ყოველივე ეტაკების დროს ცდილობს მშვიდობიანი გამოსავალი გამონახოს, მაგრამ არავის მისცემს იმის ნებას რომ მისი უფლებები დაარღვიონ.

### სავაჭრო წარმომადგენლობის დახურვა.

ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა გერმანიაში დაიხურა და მისი ლიკვიდაცია განკარგულება შეამციროს ოპერაციები მინიმუმამდე. ჩვენი სავაჭრო კავშირი იმდენად ძლიერია, რომ ჩვენ შეგვიძლია გვერდი აუაროთ ბევრ გერმანიის საქონელს. გერმანიისათვის კი უფრო საძნელო იქნება სხვა ბაზრებზე მშრალი მასალის შოვნა.

გერმანია ერთად ერთი სახელმწიფო იყო, რომელიც სარგებლობდა ყოველგვარ უპირატესობით, სხვა სახელმწიფოსთან შედარებით, რაპალოს ხელშეკრულების ძალით.

საბჭოთა კავშირს მასთან ქონდა გაცხოველებული ვაჭრობა— ყველა დიდ საპორტო და სამრეწველო ქალაქებში გაბმული იყო სავაჭრო წარმომადგენლობათა ქსელი. ყოველგვარი სავაჭრო ხელშეკრულების დადება, გაცვლა-გამოცვლა,, შეკვეთა და იმპორტი ხდებოდა გერმანიაში და მისი ტერიტორიით.

საბჭოთა პური გერმანიაში შეტანილ 95 პროც. რაოდენობას უდრის ეს კი შეადგენს ჩვენი პურის იმპორტის 70 პროც.

საბჭოთა კავშირთან ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა იყო გერმანიის ეკონომიურ კრიზისისაგან დაღწევის ერთად ერთი შესაძლებლობა.

საბჭოთა მთავრობას კიდევ მიეცა საშუალება დაემტკიცებია მსოფლიოსთვის თავისი მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოების სურვილი. მან საშუალება მისცა გერმანიას შეეფასებია თავისი ყბედი მოქმედება, რომ სათანადო ზომების გადადგმით, გერმანიის მთავრობას გაეფანტა დახუთული ატმოსფერა, მაგრამ გერმანიის მთავრობამ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობა მის სისუსტედ ჩასთვალა. ისინი სასტიკად სცდებიან. გუშინდელი ტფილისი და სხვა საბჭოთა კავშირში მომხდარი მრისხანე დემონსტრაციები დაანახვებენ მათ საბჭოთა კავშირის ნების ყოფას, რომ ის ნებას არ მისცემს არავის თავის ღირსების შელახვას. ამ განხეთქილების შედეგები მთელი თავის სიმწვავით თვითონ გერმანიას დააწვება.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. კრესტინსკიმ დასტოვა ბერლინი, იქ და გერმანიის დანარჩენ ქალაქებში არსებული ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა უკვე დაიხურა. ამიერიდან შეკვეთები გადაეცემა ნეიტრალურ სახელმწიფოებს. ჩვენ შევსძლებთ უკეთეს პირობებში საგარეო ვაჭრობის წარმოებას სხვა სახელმწიფოებთან. ამ განხეთქილების შედეგები სულ მოკლე ხანში დააჩნდება გერმანიის ბაზარს. საბჭოთა ტერიტორიიდან განდევნილი უნდა იქმნეს ყველა გერმანული ფირმები. ეს იქნება სათანადო პასუხი გერმანიის მთავრობის თავხედობაზე. ო.

## ს. ს. ს. რ. მშრომელთა პროტესტები.

### გერმანელების კოლონიის პროტესტი.

გერმანიის კოლონიის, პოლიტიკურ ემიგრაციის და გერმანელ მუშებისა გამართა მოსკოვში დიდი საპროტესტო მიტინგი სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის გამო ბერლინში.

### 25 ათასი ოდესის დემონსტრანტები.

საბჭოთა ყველა ქალაქებში სდგება საპროტესტო მიტინგები სავაჭრო წარმომადგენლობაზე გერმანიის პოლიციის თავდასხმის გამო.

ოდესაში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 25 ათას კაცმა.

## საბჭოთა კავშირი.

### მანუფაქტურა პროვინციისათვის.

სრულიად საბჭოთა საქსოვი სინდიკატი თანდათანობით დიდი რაოდენობით აგზავნის პროვინციისაკენ მანუფაქტურას: მარტში გაგზავნილია 900 ვაგონი, აპრილში 455 ვაგ. მაისის განმავლობაში განზრახულია გაგზავნილი იქნეს 850 ვაგ. მანუფაქტურა.

### ფულის რეფორმა 2 თვის განმავლობაში.

10 მაისს სრულდება სრული ორი თვე რაც გამოცხადებული იქნა საბჭოთა ფულის ნიშნების გამოსასყიდი კურსი. ამ ორი თვის გამოწვეული მიღწევები: ეხლა საბჭოთა მანეთი გათანასწორებულია უცხოეთის ყველაზე მაგარი კურსის დოლარის პარიტეტთან. საქონლის ფას სტაბილიზაცია ეყო. პირველად გამოწვეული ფულის შიმშილობა ეხლა უკვე ამოწურულად უნდა ჩაითვალოს ფულის რეფორმამ ხელი შეუწყო ფულის მოთხოვნილებას. ფულის მასა, რომელიც 10 მარტისათვის შეადგენდა 372 მილიონზე მეტ მანეთს 6 მაისისათვის შეადგენდა უკვე 451 მილიონ მანეთს.

### სპილენძის ფული გამოვა ხმარებაში 1 ივნისისათვის.

ფინანსთა კომისარიატის სავალიუტო განყოფილების უფროსის მოა-

## ვინ წააგებს.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაზე დაცემის ხასიათი უკანასკნელ ხანებში აშკარავდება. წამოჩოქებული გერმანია ცდილობს ანტანტის სახელმწიფოთა თვალში ნდობის მოპოებას.

გერმანიის მთავრობის მოქმედება მთლიანად ექსპერტთა კომისიის კარნახის ქვეშ მიმდინარეობს. ამ მოვლენას უშუალო კავშირი აქვს გერმანიაში შექმნილ შინაურ მდგომარეობასთან, რეიხსტაგის უკანასკნელ არჩევნებთან დაკავშირებით. თუმცა ცნობებია, რომ საკითხის შეფასებაში ერთი აზრის არ არიან გერმანიის ბურჟუაზია და მმართველი წრეები. მხოლოდ,—ჯერ-ჯერობით გერმანიის დირიჟორის ჯოხი ხელთ უპყრიათ ამ თავდასხმის ორგანიზატორებს.

ამ ინციდენტის მნიშვნელობა უფრო ნათლად აქვთ გათვალისწინებული ანტანტის სახელმწიფოთა საზოგადოებრივ აზრს, ვიდრე გერმანიის მთავრობას და მის პოლიტიკურ პარტიებს.

# პრესა

**„ძირს საერთაშორისო ფაშიზმი“.**

გაზეთ „პრავდა“-ში ამ სათაურით მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„ერთი წლის წინად ინგლისის მთავრობამ საბჭოთა კავშირს მიმართა კერზონის მიერ ხელ მოწერილი ულტიმატუმით. საერთაშორისო ფაშიზმა უფრო განამტკიცა ეს ულტიმატუმი იმით, რომ ლოზანაში გული გაუგმირა ჩვენს სრულ უფლებიან წარმომადგენელს ამხ. ვოროვსკის. შვეიცარიის სასამართლო ვოროვსკის მკვლელების საქმის გარჩევის დროს გადაიქცა ბანდიტიზმის მფარველად, საბჭოთა რესპუბლიკების წინაღმდეგ“.

ეხლა კი საბჭოთა ხელისუფლება ცნობილი იქნა: ინგლისის, იტალიის, შვეციის, ნორვეგიის, საბერძნეთის და სხვა სახელმწიფოთა მიერ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მსოფლიო ფაშიზმმა ხელი აიღო საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაზე? სწორედ ამხ. ვოროვსკის მოკვლის წლის თავზე ფაშიზმი შეეცადა დაემსხვრია ყველა ილიუზიები ამ მხრივ. ჩვენმა ეპოქამ არ იცის და არც შეუძლია იცოდეს ხანგრძლივი მშვიდობიანური დამოკიდებულება ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შორის.

სწორედ იმ ფაშიზმმა, რომელმაც ერთი წლის წინეთ საზიზღარი მკვლელის ხელი მიმართა ამხ. ვოროვსკის გულის გასაგმირავად, ეხლა პოლიციის ხელები მიმართა ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის დასარბევად ბერლინში. ეს არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და მუშათა კლასის წინააღმდეგ არის მიმართული მთელი მსოფლიოს კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ არამედ მთელი ქვეყნის მშრომელი გლეხობის წინააღმდეგაც. ბოლოს და ბოლოს ყველა დაჩაგრულები მთელი ქვეყნისა და დამონავებული კოლონიებიც შეიგნებენ, რომ ს. ს. რ. კავშირი მათი უდიდესი მეგობარი და დასაყრდნობია.

გერმანიის კომპერტიის უდიდესმა გამარჯვებამ გამოარკვია, რომ ბრმებს თვალები ეხილებათ. ასევე მოხდება რამოდენიმე დღის შემდეგ გერმანიაშიც.

დგილის ცნობით, სხვა და სხვა ტეხნიკურ სიძნელეთა გამო, სპილენძის ფულები გამოვლენ ხმარებაში მხოლოდ 1 ივნისიდან.

## ინგლის-საბჭოთა კონფერენცია.

**თემთა პალატაში.**

თემთა პალატაში გენდერსონმა განაცხადა, რომ კონფერენციაზე აგრეთვე გაირჩევა საკითხი საბჭოთა მთავრობის მიერ მოქალაქოებრივი უფლებების ცნობის შესახებ იმ რუსეთის ქვეშევრდომთა, რომლებიც ინგლისში ცხოვრობენ.

**როდის დასრულდება კონფერენცია.**

კლიანსმა შეკითხვაზე უპასუხა, რომ მას არ შეუძლია იწინასარმეტყველოს, თუ რამდენ ხანს გასტანს ინგლის-საბჭოთა კონფერენცია, მაგრამ მიუთითა, რომ მაკდონალდი ღებულობს ყოველივე ზომებს მოლაპარაკების დასაჩქარებლად.

**პროტესტი თეთრ გვარდიელების მოქმედების წინააღმდეგ.**

„მანჩესტერ გარდიენი“ მოუწოდებს საზოგადოებრივ აზრს საპროტესტოთ თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ კონფერენციის მსვლელობას.

## კაპიტალისტურ ქვეყნებში

**რუმინეთი შიშობს.**

უნგრეთის და ბოლგარეთის პრესა იუწყება, რომ რუმუკში დიდი მზადებაა რუმინეთის ჯარების გადმოსასხმელად ბესარაბიაში. რუმინ. გაზეთები ათავსებენ ცნობებს ს. ს.ს.რ. სამხედრო მზადების შესახებ და აღნიშნავენ, რომ თითქო ტროცკი და კამენევი ჩასულიყვნენ კამენეც-პოდოლსკში ჯარების დასათვალიერებლად რუმინეთს საზღვარზე.

**რუმინეთი და ინგლისი.**

დახმარების გარდა რუმინეთი ინგლისიდან მოითხოვს კიდევ 10 მილიონ გირ. სტერლინგს სესხს.

**მაკდონალდს გული „შესტკივა“ გერმანიაზე.**

„ტანი“ იუწყება რა მაკდონალდი და პუანკარეს შეხვედრას მაისში აღნიშნავს, რომ პრემიერებს თათბირის საგანი უსათუოდ იქნება სამხედრო კანტროლის დანიშვნა გერმანიაზე, რაც აუცილებელია გერმანიის ნაციონალისტების გამარჯვების შემდეგ.

**მონარქიული ორგანიზაცია ლატვიაში.**

ლატვიაში აღმოაჩინეს მონარქისტული ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი ჰქონდა გერმანიის მონარქისტებთან და რუსეთის თეთრ გვარდიელებთან. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა არსებულ წესწყობილების დანგრევას ლატვიაში და ,,მთლიან, გაუყოფელ“ რუსეთის შექმნას.

**ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია.**

პრესის ცნობით, კოვენის კონფერენციაზე განხილული იქნება სამხედრო კავშირის გეგმა ბალტიის სახელმწიფოთა შორის.

**მენშევიკები და პროფ. მოძრაობა.**

ფინლანდიის მენშევიკები ცდილობენ დაშალონ მთლიანი პროფ. ორგანიზაცია და ამისათვის მთელ რიგ ქალაქებში ქმნიან ცალკე პროფ. ორგანიზაციებს.

**შვეიცარია.**

საპროტესტო გაფიცვის გამო, რომელიც გამოაცხადა შვეიცარიის მელითონეებმა 10 საათის სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ, მწარმოებლებმაც თავის მხრივ გადასწყვიტეს გამოუცხადონ მუშებს ლოკაუტი.

**დასასვენებლად.**

რუმინეთის კოროლი ჩავიდა ბერნში, სადაც მას გაუმართეს სადღესასწაულო შეხვედრა.

## სამხკორების და მკითხველების საყურადღებოდ.

გაზეთ ,,წითელ არმიელის“ რედაქცია გადავიდა ახალ ბინაზე ჯორჯიაშვილის ქუჩა, სახლი № 8. (,,ჩონი“-ს ბინა)

## განცხადება.

ორშაბათს ა/წ 12 მაისს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის შენობაში დანიშნულია თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა:

1. კომუნალურის—აღმასკომის დარბაზში.
2. საფინანსოსი—საფინ. განყ. კანცელარიაში ოთახი № 1.
3. ჯანმრთელობის—აღმასკომის საერთო კანც. ოთახი № 5.
4. საადგილ-მამულო—საადგილ მამ. განყ. კანც. ოთახი № 31.
5. ზაჰესკომის—ზაჰესკომის კანცელარია.

**დღის წესრიგი:**

| | |
|---|---|
| კომუნალურის: | 1. კომუნალური განყ. დებულების განხილვა. |
| | 2. ელსადგურის სამმართველოს მოხსენება. |
| | 3, მაზრის მეთვალყურე კომისიების არჩევა. |
| | 4. მიმდინარე საქმეები. |
| საფინანსო: | 1. მიმდინარე საკითხები. |
| ჯანმრთელობის: | 1. საინფორმაციო მოხსენება დამზღ. სალარ. შესახ. |
| | 2. „ „ აფთიაქ. ჯანმრთ. განყ. გადმ. შეს. |
| | 3. მიმდინარე საკითხები. |
| საადგილ-მამულოსი: | 1. აგრო დახმარება მაზრაში და მიწის მოწყობა. |
| ზაჰესკომის: | 1. მოხსენება ზაჰესის პროექტის შესახებ ელ-მექანიკური ნაწილი (დროებითი და მუდმივი მოწყობა). |
| | 2. მიმდინარე საკითხები. |

**სექციების ყველა წევრებისათვის დასწრება აუცილებელია.**

ვინაიდან სექციების სხდომებს ზოგიერთი ამხანაგები სისტემატიურად აკლდებიან, ამიტომ, თანახმად სექციების წარსულ სხდომაზე დადგენილებისა, მათ ეძლევათ გაფრთხილება, რომ სია იმ ამხანაგებისა, რომლებიც სისტემატიურად აკლდებიან სხდომებს, გადაეგზავნება მათ ამომრჩევლებს ზომების მისაღებათ და აგრეთვე იქნება გამოქვეყნებული.

აღმასკომის სექციის ხელმძღვანელი: **არ. რუხაძე**

**ამერიკა და იაპონია.**

**კანონი იაპონიის ემიგრაციის აკრძალვის შესახებ.**

პალატის და სენატის წარმომადგენელთა კომისია შეთანხმდენ იაპონელთა ემიგრაციის აკრძალვის შესახებ, რომლის სისრულეში მოყვანა უნდა მოხდეს მომავალი 1925 წ. 19 მარტიდან.

## ნორვეგია.

**მეფის ოჯახის მზგავსად.**

ქრისტიანიაში გაფიცულ მუშათა დემონსტრაცია მივიდა მეფის სასახლესთან ინტერნაციონალის სიმღერით. მოხდა შეტაკება ცხენოსან მილიციასა და დემონსტრაციებს შორის, მეფის ოჯახობა ფანჯრებიდან უცქეროდა თუ როგორ ერეკებოდენ პოლიციელები მუშებს.

## სხვა და სხვა

**ხოლერა ინდოეთში.**

ინდოეთში საშინელი ხასიათი მიიღო ხოლერამ. ამ უკანასკნელ კვირაში მან რამდენიმე ათასი სული იმსხვერპლა. ეპიდემია თანდათან ძლიერდება.

**მიწის ძვრა.**

საფრანგეთიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბენდანიის ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს ძლიერი მიწის ძვრა,, რომლის ეპიცენტრი იმყოფება 7,000 კილომეტრის დაცილებით. მიწის ზედაპირის ქანავი გაგრძელდა ორ საათზე მეტს. მიწის ძვრის ზონა როგორც ჰფიქრობენ აღმოსავლეთ აზიაში იმყოფება.

**ახალი საემიგრაციო კანონი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით ამერიკის ახალი საემიგრაციო კანონი ძალაში შევა 1925 წლის მარტიდან.

**კუნძულ კუბაზე მომხდარი აჯანყება ჩააქრეს.**

ნიუიორკიდან მიღებულ ცნობებით კუბის მთავრობა იუწყება რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობის და აჯანყებულთა დამორჩილების შესახებ.

**ბრძოლა მაროკოში.**

„დეილი მეილის“ მადრიდის კორესპონდენტი იუწყება მაროკოში წარმოებულ სისხლის მღვრელ ბრძოლების შესახებ. უკანასკნელ შეტაკების დროს ესპანელებს მოუკლეს 2 და დაუჭრეს 7 ოფიცერი, და დაუჭრეს 20 ჯარის კაცი.

## საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა

**8 მაისის საღამოს სხდომა.**

კამათში ამხ. სერგო ორჯონიკიძეს მოხსენების შესახებ სიტყვით გამოვიდნენ ამხ. ხიმშიაშვილი, ალანია, ლაკობა, ჯათიევი და ცერცვაძე.

საბოლოო სიტყვაში ამხ, ორჯონიკიძემ გასცა პასუხი ყველა შეკითხვებზე და შენიშვნებზე, რის შემდეგ ამხ. სვანიძის წინადადებით მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი

**რეზოლიუცია.**

„მოისმინა რა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება ეროვნულ პოლიტიკის შედეგების შესახებ, საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა სავსებით იწონებს საქ. კომპარტიის ცეკას პოლიტიკას ამ საკითხში; ყრილობა აღნიშნავს დიდ მიღწევებს ნაციონალიზმის, შოვინიზმის აღმოფხვრის და მტკიცე ეროვნულ მშვიდობიანობის დამყარების საქმეში; სხვადასხვა ტომებით დასახლებულ საბჭ. საქართველოს პირობებში ეროვნული პოლიტიკის გატარებას ყრილობა სთვლის სწორად და ეს პოლიტიკა სავსებით შეფარდებულია რუსეთის კომპარტიის 12-ე ყრილობის და ეროვნებათა წარმომადგენლების 4-ე თათბირის დადგენილებებთან.

ყრილობა ავალებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს არ დაკმაყოფილდენ უკვე მიღწეულ შედეგებით და მომავალშიაც განაგრძონ მუშაობა ამ გადაწყვეტილებათა საფუძვლებზე საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში შემავალ ეროვნულ უმცირესობათა სამეურნეო და კულტურულ დონეს ასაწევად, ქართულ ეროვნულ კულტურის განსამტკიცებლად, ამიერ-კავკასიის ფედერაციის და საბჭ. სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის განსავითარებლად და გასაძლიერებლად.

ყრილობა განსაკუთრებით საჭიროთ სთვლის პროპაგანდის წარმოებას ნამდვილ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის მიმართულებით და პარტიულ მასების და ახალგაზრდობის აღზრდას ამავე სულისკვეთებით“.

ამის შემდეგ ამხ. შ. ელიავა აკეთებს მოხსენებას პარტიის სამეურნეო ამოცანების შესახებ მრეწველობაში და სასოფლო მეურნეობაში.

**9 მაისის დილის სხდომა.**

სხდომის დასაწყისში სწარმოებს კამათი ამხ. შ. ელიავას მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობას იღებენ ამხ. ყურულაშვილი, ამხ. შაბანოვი, ქოქიკაშვილი და სხვა.

მომხსენებლის ამხ. ელიავას საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობის მიერ არჩეულ იქნა კომისია 10 აცისაგან: ამხ. შ, ელიავას, ქოქიკაშვილის, ყურულაშვილის, ხიმშიაშვილის კანდელაკი და კოსტანიანის მონაწილეობით.

შემდეგ ვრცელი მოხსენებით სოფლად მუშაობის შესახებ გამოდის ამხ. ფილიპე მახარაძე. თეზისები ამ მოხსენებისა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერშია.

**მისასალმებელი დეპეშა გერმანიის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისადმი.**

„საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა უკეთებს რა ჯამს პარტიის წარმატებით მუშაობას საბჭოთა ქვეყანაში სოციალისტურ აღმშენებლობის ყველა დარგში, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოში მენშევიკური პარტიის სრული განადგურება, აღტაცებით აღნიშნავს ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელიც თქვენ მოიპოვეთ რეიხსტაგის არჩევნების დროს. ამ ჟამად საერთაშორისო მდგომარეობის მერყეობას და კლასთა ბრძოლის უკიდურესად გამწვავების მომენტში თქვენი გამარჯვება ფაშისტების და დახავსებულ გერმანელ სოციალ-დემოკრატების უპასუხისმგებლო თარეშის დროს ნიშნავს ფართო პროლეტარულ მასების შეგნების და რევოლიუციონერობის ზრდას, იმ მასების, რომლებიც ხმის მიცემით უცხადებენ ნდობას პროლეტარიატის ერთად ერთ რევოლიუციონურ კომუნისტურ პარტიას.

მხურვალედ ესალმება რა გერმანიის მოძმე პარტიას, საქართველოს კომპარტიის ყრილობა გამოსთქვამს მტკიცე რწმენას იმაში, რომ გერმანიის მოწინავე პროლეტარიატი თქვენი ხელმძღვანელობით მიიყვანს ბრძოლას გერმანიის მუშების გამარჯვებამდე და მთელ გერმანიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

გაუმარჯოს პროლეტარულ გერმანიის კავშირს საბჭოთა კავშირთან!

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას გათავხედებულ რეაქციის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს კომინტერნს!



## წითელ-არმიელები ბოტანიკურ ბაღში.

7 მაისს მოეწყო პოლიტგანყოფილების მიერ ექსკურსია ამხ. მერაბიშვილის მეთაურობით, ბოტანიკურ ბაღში, თბილისში მდგომ ქართულ ნაწილებისა, რომელზედაც ჩვენ, უნცროს მეთაურთა სკოლიდან ვერ მოვუსწარით და გავსწიეთ ცალკე, რომ გზაში მაინც შევერთებოდით, მაგრამ ვერ დავეწიეთ და გავეშურეთ გვირაბისაკენ, მაგრამ დარაჯმა არ შეგვიშვა უფულოდ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ისე უნდა შევსულიყავით, მეტი რა გზა იყო, გადავიხადეთ თითო შაური.

შევედით სიმღერით, ცეკვით..

გვითხრეს რომ ბაღში შესასვლელი ცალკე უნდა გადაგვეხადა მაგრამ, შემდეგ აღარ მოგვიხდა რადგან შევუერთდით ჩვენს დანარჩენ ამხანაგებს.

შეუდექით ბაღის დათვალიერებას. წითელ არმიელები ხარბად შინჯავენ ყოველ ხეს, მცენარეს,—ერთიმეორეს უხსნიან ყველა ჯიშის მნიშვნელობას. ამხ. მერაბიშვილი გვაძლევს განმარტებას და გვიხსნის ყოველისფერს.

აქვე ვათვალიერებთ ძველ, ისტორიულ ნაშთებს, ციხე-სიმაგრეებს, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ ბევრი ლეგენდებია დარჩენილი ჩვენს ხალხში.

ამ ექსკურსიამ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ნასიამოვნები წითელ-არმიელები სიმღერით დასცილდენ ბოტანიკურ ბაღს და გაეშურენ თავთავიანთ ყაზარმებისაკენ.

კარგი იქნებოდა, რომ ხშირად იმართებოდეს ასეთი ექსკურსიები ამ გაზაფხულის პირზე.

**დ. ჭ.**

## პასუხი შეკითხვებზე.

(ამხ. ყუბანეიშვილის საყურადღებოდ).

ხელის-უფლების ცენტრალურ ორგანოების უკანასკნელი განკარგულებით საბჭოთა და პარტიულ გაზეთებზე მოხსნილია ყოველ-გვარი ცენზურა. რაც შეეხება კედლის გაზეთებს, აქ არსებობს სარედაქციო კოლეგია, რომელშიც შედის ერთი პარტიული ამხანაგი აუცილებლივ, და გაზეთი გამოდის ამ კოლეგიის პასუხის მგებლობით.

სამხკორი ვალდებულია დაესწროს ყოველგვარ კრებებს, ის პასუხისმგებელია თავის მოქმედებაში თავის ამრჩევლების წინაშე.

ლექსების და პიესების განხილვა უნდა აწარმოოს დრამ-წრის ხელმძღვანელებმა, ან სალამოს მომწყობ კომისიამ—უკანასკნელ შემთხვევაში კი სამხკომისარმა.

## კულტურული შეჯიბრება ლაშქრის ნაწილებში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ქართულ ლაშქართა ნაწილებმა დაიწყეს კულტურული შეჯიბრება. ჯერ თუმცა ოთხი ნაწილი ჩაება ამ ფერხულში, მაგრამ დანარჩენებიც არ ჩამორჩებიან და ერთი მეორეს გამოეხმაურებიან. ეს შეჯიბრი ჩაითვლება კულტურულ ფრონტზე მიღწეულ თვალსაჩინო გამარჯვებათ. ჩვენ ვიცით რომ პროლეტარიატის მიერ კულტურის ზიარება, საბოლოო განადგურებაა ბურჟუაზიისა.

დრამ წრეებმა თავისი ვალი მოიხადეს და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ის ნაწილები, რომლებიც დარჩენ თავის ხელოვნურ შემოქმედებას, გამოაფენენ სახალხოთ, რომ დაანახონ ყველას, რომ ჩვენ წითელ ყაზარმაში თეატრიცა გვაქვს, რომლის საქმე თვით წითელი არმიელი, რომლებიც დღეს ერთი მეორეს შეჯიბრში იწვევენ სახალხოთ დიდ თეატრებში. (დამაკმაყოფილებელი იყო თუ არა მათი მუშაობა და დამსწრე საზოგადოებამ შეაფასოს). მასთან არსებობს რამდენიმე სხვა და სხვა წრეები, რომლებმაც უნდა ახმაურდნენ და მიბაძონ დრამ-წრის მაგალითს. თუმცა ჯერ სრულებით არ დასრულებულა დრამ-წრეების შეჯიბრი, მაგრამ სანამ დამთავრდებოდეს, საჭიროა ლიტერატურული წრეების შეჯიბრის დაწყება. ამისათვის ცალკე საკავშირო ასეულის ლიტერატურული წრე იწვევს 1. ნინოშვილის გმირის „ქრისტინეს“ გასამართლებაში ცხენოსან ლეგიონის ლიტერატურულ წრეს. ცალ. საკავ. ასეულის ლიტერ. წრიდან ბრალმდებლებად გამოდიან სევდიშვილი და ნ. გიორგაძე. ვთხოვ ცხენოსან ლეგიონის ლიტერატურულ წრეს გაგვაცნოს თავისი აზრი არა უგვიანეს ერთი კვირისა.

**მ. ს—ლი.**

## წერილი წალკიდან.

წალკა თბილისიდან 100 ვერსითაა დაშორებული.

წალკა, თავის საძოვრებით დიდათ მდიდარია, ეს საქართველოს „შვეიცარია“. წალკა მთიანი ადგილია.

იშვიათათ შეხვდებით ხეს ან ბუჩქს მთა—გორაკები შიშველია აქა იქ, მიწაში ჩაფლულ სახლების წინ თუ შეამჩნევთ ერთ ოროლა ხეს.

ზამთარი აქ მეტად სუსხიანი იცის, რომელიც თითქმის მაისამდე გრძელდება. მაგრამ, სამაგიეროთ ზაფხულზე ეს უდაბნო გამოცოცხლდება, ახმაურდება და უდაბნო წარმოადგენს ზურმუხტის ოკეანეს, რომელზედაც ყვავილების სხვა და სხვა ფერის ტალღები დაჰქრიან.

ნოყიერი საძოვრები არა ერთ და ორ ათას სულ საქონელს ინახავს. მესაქონლეობა აქ მცხოვრებთა ერთად ერთი საარსებო სახსარს შეადგენს.

სეტყვა და შემოდგომის ადრიანი ყინვები წალკის ხშირი სტუმრებია და ხშირად მეურნეს მთელი შრომა და ამაგი ამაოდ ჩაუვლის და მცხოვრებლები შიმშილს განიცდიან.

საბჭოთა ხელისუფლების დროს წალკელმა მეურნემ შეიგნო, რომ თავისი მეურნეობა სავსებით უნდა შეცვალოს და მესაქონლეობას მიყოს ხელი, რომ აიცდინოს სიმშილობა.

ძველ რეჟიმის დროს, წალკაში არსებობდა რამოდენიმე კარაქის და ყველის დამამზადებელი ქარხნები. მათი მეპატრონე უწევდა ექსპლოატაციას ადგილობრივ მცხოვრებთ: ყიდულობდნენ იაფ ფასებში რძეს და თვით დიდძალ ფულს იგებდნენ.

ვერც მენშევიკებმა გაუწიეს ამ მდიდარ კუთხეს დახმარება და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს წალკას გამოღვიძება ეტყობა და ცხადია, ახლო მომავალში წალკის რაიონი დიდ როლს ითამაშებს საქართველოს ეკონომიურ აღორძინებაში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს წალკაში დიდი აგიტაცია იყო გაწეული და დღესაც სწარმოებს, რომ მეურნემ მიანებოს თავი მარცვლეულის ხვნა თესვას და ხელი მიჰყოს მესაქონლეობას. აგიტაციამ ამაოდ არ ჩაიარა: რაიონში დაარსდა 7 კარაქის და ყველის ქარხანა და რამოდენიმე ქარხანა დაარსების სტადიაშია.

მეურნემ ნათლად შეიგნო რძის კოოპერატიულად შეკავშირებულ ამხანაგობის დაარსების დადებითი მხარე და ყოველივე ღონისძიებას ხმარობს თავის სოფელში ხელი შეუწყოს ამხანაგობის დაარსებას.

მართალია, ქარხნები პატარებია, მოუწყობელი მაგრამ აქაც საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთ ხელს გაუწვდის და ეცდება კუთხე მოფინოს მძლავრ ქარხნებით და გაუწიოს აგრონომიული დახმარება.

სასოფლო მეურნეობას დიდი გადიდება ეტყობა, აგრონომიულ პროპაგანდამ დიდი გამოძახილი ჰპოვა მშრომელთა შორის.

აგრონომთან ხელი ხელ ჩაკიდებული მეურნე შექმნის ახალ სოფელს, გაძლიერდება და გააძლიერებს შეგნებული შრომით კუთხეს ეკონომიურად.

თუ რამოდენიმე წლის წინად ადგილობრივ მეურნეს ვერ ეტყოდი პურის თესვის შეწყვეტის შესახებ, ეხლა პირიქით ყველა გაიძახის: „აღარ გვინდა პურზე ვიწვალოთ, დავსთესთ საკვებ ბალახებს, ვიყოლიებთ საქონელს, დავაარსებთ რძის ამხანაგობას და თავს კარგათ გავიტანთ“.

ამ ჟამად წალკაში დაარსებულია საცდელი მინდორი, სადაც გამოიცდება სხვა და სხვა საკვები ბალახები და დადებითი შედეგების მიღებისთანავე, მშრომელთ დაურიგდება თესლი.

**ზ-ლი.**

## ციրკულიარი.

## რ. კ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტმა

ყველა ც. კ. და საოლქო კომიტეტებს მიმართა შემდეგი შინაარსის ცირკულიარით:

ვინაიდან 1902 წ. დაბადებულ ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა საორგანიზაციო მუშაობა ადგილებში უკვე დაიწყო, ამიტომ აგიტპროპი ა. კ. ს. კ. ამ წერილით მიაქცევს ყურადღებას, რომ სასწრაფოდ იქნეს გატარებული საგიტაციო კამპანია. კამპანიის გატარების დროს ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული შემდეგ მომენტებზე:

1. გააცნოთ მშრომელ მოსახლეობას წითელი არმიის მნიშვნელობა და მისი ამოცანები, ყოველ მხრივ გააშუქეთ შეიარაღებულ ძალის აუცილებელი საჭიროება მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დასაცავად.

2. შექმენით საზოგადოებაში აღტკინება მობილიზაციის სასარგებლოდ და ჩაუნერგეთ რომ თავის დროზე აუცილებლად ყველა გასაწვევი გამოცხადდეს.

3. მოაწყვეთ ჯგუფობრივი და ინდივიდუალური ბაასები შემდეგ თემებზე: ა) რისთვის ჭირდება ჩვენ წითელი ჯარი და რატომ მუშა და გლეხმა უნდა გაგზავნოს თავისი შვილები წითელ ჯარში; ბ) რა გააკეთა წითელმა ჯარმა მუშებისათვის და გლეხებისათვის; როგორ უნდა ზრუნავდეს გლეხობა წითელ ჯარზე; გ) რას მოელის წითელი ჯარი მოსახლეობისაგან.

ზემოთ ჩამოთვლილი თემები გატარებულ იქნას სამკითხველო-ქოხებში, იქვე მოეწყოს ხმა-მაღლა გაზეთების და ბროშურების კითხვა ამ წვევის შესახებ.

4) ჯარში გაწვევის მომენტიდანვე განავით ეთ აგიტაცია პლაკატების საშუალებით, პლაკატები უნდა დასურათ ბული იქნეს და მოძრავი, აგრეთვე აგიტაცია უნდა ხდებოდეს ყველა თვალსაჩინო ადგილებზე ლოზუნგებისა, მოწოდებების და სხვა ასეთი ფურცლების გაკვრით.

5) გასაწვევ ადგილებზე გამოცხადების წინა დღით მოეწყოს ოდენებზე მიტინგები მოსახლეობისათვის და აგრეთვე გასაწვევ ახალგაზრდათა დემონსტრაციები წითელი დროშებით და რევოლუციონური სიმღერებით.

გაწვეულთა მისაღებ ადგილებზე გამგზავრების წინ სასოფლო და თემთა რწმუნებულები ყველა ორგანიზაციებთან ერთად აწყობენ საზეიმო სხდომებს, სადაც წარმოითქმის გასამგზავრებელი ხასიათის სიტყვები, სდგება ნაკაზი მშრომელი გლეხებისაგან გაწვეულთადმი, გაწვეულების ფიცი მშრომელ მოსახლეობისადმი.

მთელი ამ ორგანიზაციული მუშაობის ჩასატარებლად ადგილებზე შემდგარი არიან სამეულები, რომელშიდაც შედიან სამხედრო კომისარიატის, არმიისა და ცეკას წარმომადგენლები, რომლებიც თავის მხრივ კავშირში შედიან პოლიტგანათლების ორგანოებთან, ახკომკავშირთან, ქალთა ორგანიზაციის განყოფილებებთან, პროფკავშირისა და რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირებთან. ეს კომისიები ამზადებენ მთელ საგიტაციო მასალების საჭირო რაოდენობას როგორც: საუბრის და მიტინგების ჩასატარებელი თეზისები, ფურცლებს მოსახლეობისა და გაწვეულთათვის, ლოზუნგებს, პლაკატებს, გაზეთებს, ჟურნალებს და ბროშურებს მათი ადგილებზე მოხმარების მიზნით.

იქონიებენ რა კავშირს ადგილობრივი გაზეთების რედაქციებთან კავშირს ხელს შეუწყობენ კამპანიის ჩატარებას პრესის საშუალებით.

მთელი საგიტაციო მუშაობის ჩასატარებლად ადგილებზე საჭირო მუშაობაში ჩათრეული იქნენ კომპარტიისა, კომუჯრედებიდან და ახკომკავშირიდან სასოფლო საბჭოები და სოფლის ყველა კულტურული ძალები.

დედანს ხელს აწერს: ამიერკავკასიის რ. კ. პ. მდივნის და აგიტპროპის მოადგილე.

## ლოზუნგები.

**ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა კამპანიის ჩატარებისათვის.**

1 **ყველა ჯარში გასაწვევ 1902 წ. დაბადებულნი ახალგაზრდები—წითელ ჯარის რიგებში.**

2 **სუყველაფერი—ს. ს. ს. რ. დასაცავად.**

3 **სუყველაფერი—ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად,**

4 **ჩვენს რიგებში დეზერტირობას არ აქვს ადგილი.**

5 **შევასრულოთ ჩვენი ბელადის და მასწავლებლის ამხ. ლენინის ანდერძი, მტკიცედ ვიდგეთ რევოლიუციის სადარაჯოზე.**

6 **ამიერ კავკასიის მუშებო და გლეხებო, დაიცავით თქვენი მონაპოვარნი. ბაქოს ნავთი და ჭიათურის შავი ქვა—ეს გემრიელი ლუკმაა საერთაშორისო მტაცებლურ კაპიტალისთვის.**

7 **გაუმარჯოს წითელ ჯარს—საერთაშორისო იმპერიალიზმის თავზარ დამცემს, მეგობარს და დამცველს მშრომელ ხალხისას!**

8 **გაუმარჯოს მუშების და გლეხების წითელ ჯარს!**

## ახალი ამბები.

### რევტრიბუნალში.

6 მაისს რევტრიბუნალში დაიწყო პოლიტკურსების ყოფ. უფროსის გიორგაძის საქმე. პროცესის სამი დღის მსვლელობის დროს გამოირკვა, რომ ბრალი ედებოდათ კიდევ დანაშაულობაში სხვებსაც. ამიტომ ტრიბუნალმა საქმე გადადებულათ გამოაცხადა და ახალი კვლევა-ძიების საქმე გადასცა სამხედრო პროკურორს.

— **ბაქოს ბაზრობაზე.** სსსრკ გარეშე ვაჭრობის კომისარიატის მიერ ნებათართულია აღმოსავლეთი ქვეყნებიდან შემოტანილ იქნეს ბაქოს ბაზარზე გადასახადის გადაუხდელათ შინა მრეწველობის და სას-სამეურნ. ნაწარმოებნი.

- **ახალი დანიშვნა.** ა. კ. რესპუბლიკათა სახელმწიფო გეგმის თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ფ. მახარაძე და საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარეთ ამხ. შ. ელიავა.

— **დემონსტრაციები თბილისში.** გუშინ 10 მაისს თფილისში გაიმართა დიდი დემონსტრაციები, გერმანიაში საბჭოთა წარმომადგენლობის დარბევის გამო.

— **ხილის სანერგეები.** წარმოკავშირმა დაადგინა გორის მაზრაში მოაწყოს ხილის სანერგეები, მაზრაში მეხილეობის განვითარების მიზნით.

— **სასწრაფო დეპეშები.** ფ-ტელეგრ. უწყებამ გასცა განკარგულება, რათა სსრკ. უზენაეს სასამართლოსადმი მიმართული დეპეშები გაგზავნილ იქნენ სასწრაფოდ და პირველ რიგში.

— **ავადმყოფი ბავშვები.** ჯანმრთელობის კომისარიატმა განიზრახა ავათმყოფ ბავშვების დასახმარებლათ, დაიჭიროს კავშირი განათლების დაწესებულებებთან და ასეთ ბავშვებს აღმოუჩინოს დახმარება უფასო მკურნალობით.

— **მოსავლის პირი.** დასავლეთ საქართველოს რამოდენიმე რაიონში ამინდმა ვერ შეუწყო ხელი მოსავალს და ამის გამო მოსავალს მოელიან საშუალოზე ნაკლებს.

— **მეთამბაქოება.** მეთამბაქოების საქმისათვის, წარმოკავშირმა გერმანიიდან გამოიწერა გუთნები მეთამბაქოეთა საჭიროებისათვის.

— **ფილოქსერი.** კახეთში, ფილოქსერა გაჩნდა ვენახებში და ამის გამო დიდი ზიანი აქვს ღვინის მოსავალს. წარმოკავშირმა მიიღო ზომები ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

— **სულით ავათმყოფთათვის.** სულით ავათმყოფთა საჭიროებისთვის ჯანმრთელობის კომისარიატმა შეიძინა თეთრეული.

— **შრომის ბირჟაზე.** 6 მაისს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 55 კაცი. ახლათ ჩაეწერა 69 უმუშევარი. მოთხოვნილება იყო 62 მუშა ხელის.

— **შემნახველ კასებში.** ახლო მომავალში ტფილისის შემნახველ კასებში დაიწყება სალერბო მარკების გაყიდვა. იქვე შეიძლება შეძენა სახელმწიფო სესხის ობლიგაციებისაც.

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

— **კლუბი ავლაბარში.** ავლაბრის მუშებისათვის 10 ივნისს, გაიხსნება კლუბი საზაფხულო შენობაში. კლუბში გაიმართება საღამო-წარმოდგენები ქართულ-რუსულ და სომხურ ენებზე.

— **დიდი საღამო.** დღეს, ქართულ კლუბში გაიმართება დიდი საღამო სახელმწ. კონსერვატორიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

— **„ციხე და სასახლე".** პროფკავშირთა კლუბის დარბაზში ყოველ დღე უჩვენებენ მუშა-მოსამსახურეებს დაკლებულ ფასებში კინო სურათს „ციხე და სიმაგრე". მიმსვლელმა უნდა იქონიოს კავშირის წიგნაკი.

## •ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ•

### ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲡ.

სმენა!!! საყვირი!!!—
(გაისმის ბუკი!..)
უნდა გაიგოთ—
არ გძინავთ თუ კი!..

—

სულ ძილი, ძილი...
ვგონებ, რომ კმარა!
უნდა ისმოდეს
თქვენი ხმა მარად!..

—

ყაზარმებს მოავლეთ
ელვარე თვალი;
გადაიხადეთ
თქვენ თქვენი ვალი!

—

უთქვენოდ დაობლდა
ჩვენი გაზეთი.
(ვით გაპატიოთ
საქმე ასეთი?!)

—

თუ არა—იცოდეთ;
ცალ-ცალკე, ყველას,
აგიწევთ ზურგს. და,
ვერ ნახავთ შველას...

—

მაშ ასე... ველით
კორესპონდენციებს—
(ო, თორემ, ყუმბარა
მიზეზებს ეძიებს!..)

**დაშნა.**

## ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

### ᲠᲐ ᲡᲐᲫᲘᲠᲔᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲛᲧᲜᲐᲗ ᲕᲐᲨᲚᲘ.

ვაშლს უმთავრესათ მყნობით ამრავლებენ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ვაშლის სამყნობ საძირეს ამორჩევას. საძირე უნდა ეგუებოდეს ნიადაგს და ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს. სხვა და სხვა ნიადაგისათვის, სხვა და სხვა სიმაღლის ხეხილისათვის და ბუნებრივ პირობებისათვის სხვა და სხვა საძირეა საჭირო. ჩვეულებრივათ საძირე გამოჰყავთ თესვით ან ძირებიდან ამონაყრით. თესვით მიღებული საძირე უფრო მდიდარია ფესვებით, მარდად იზრდება და მეტ ხანს სცოცხლობს, ვიდრე ის საძირეები, რომლებიც მიღებულია გადაწვენით ან ამონაყრებიდან, მაგრამ ნაყოფიერებას თესლიდან მიღებული საძირეები უფრო გვიან იწყებენ.

საძირეს ამორჩევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბაღის ხეების ჯანზე, მსხმოვიარობაზე, გამძლეობაზე, და მთელ მის აგებულებაზე.

კარგა საძირე ხეს ბევრ საკვებას აძლევენ და უკეთ ანვითარებს.

აქ ჩვენ გავარჩევთ ზოგიერთ ვაშლის საძირეებს იმის მიხედვით, თუ როგორ, როდის და სად აღვზარდოთ ისინი, რომ კარგი ბაღი ვიქონიოთ.

**გარეული ვაშლი.**

რა გინდ კარგი ჯიშის ვაშლი დავთესოთ, იქიდან არასოდეს არ მივიღებთ ისეთ ხეს, როგორიც იყო დედა ხე. თესლიდან ამოვა პატარა გარეული ვაშლი.

გარეული ვაშლი საუკეთესო საძირეა. ეგუება თითქმის ყოველგვარ ნიადაგს, თუ ის ქაობიანი ან ძლიერ გამოფიტული არ არის. საძირის გამოსაყვანათ უმჯობესია გარეული ვაშლის თესლის დათესვა.

გარეული ვაშლის საძირეები კარგია მაღალ ტანიან ხეების გამოსაყვანათ. მისი მძლავრი ფესვები ბევრ საკვებს შოულობს ნიადაგში. დასამყნელათ უნდა ამოვარჩიოთ კარგათ მოზარდი, სწორი და მძლავრ ძირებიანი საძირეები.

**სამოთხის ვაშლი.**

სამოთხის ვაშლი კარგი საძირეა დაბალ ტანიან (ბუჩქისებრივ) ხეხილისათვის. მაგრამ ის ძალიან დიდ ყინვებს ვერ იტანს.

სამოთხის ვაშლს ამრავლებენ თესვით და გადაწვენით. საძირეთ უმჯობესია გადაწვენით მიღებული კარგი ძირებიანი სამყენი.

ყოველ კუთხისთვის ადგილობრივათ აღზრდილი საძირე უნდა ვიქონიოთ. ადვილი შესაძლებელია, რომ სხვა კუთხიდან მოტანილი საძირე ჩვენს ნიადაგს ვერ შეეგუოს.

**მეურნე.**

## ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲘᲛᲘᲐ.

გერმანელებს ღრმად ჰქონდათ მოფიქრებული და გათვალისწინებული იმპერიალისტური ომი. იგინი ამისათვის ათეულ წლებით ემზადებოდენ და მათ მოახერხეს თავის ქვეყნის მთელი მოღვაწეობის მიმართვა, ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს, იმ ომის მომზადებისკენ, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა გერმანიის იმპერიის ბედ იღბალი. და მხოლოდ ამ გვარ მუშაობის წყალობით, მან შესძლო $4^1/_2$ წლის განმავლობაში გაჰკლავებოდა მთელ ქვეყნიერებას.

გერმანია იმპერიალისტურ ომამდე იყო ცნობილი, როგორც ქიმიური მრეწველობის სახელმწიფო: იგი ამზადებდა ყველა საღებავებს და სამედიცინო პრეპარატების უმრავლესობას, რომელსაც მთელ ქვეყნიერებას აწვდიდა. ომიანობის დროს ქიმიური მრეწველობა გერმანიამ პირველმა მოიხმარა ბრძოლის საშუალებად, რამაც შეაფიქრიანა მოწინააღმდეგენი და ამ ჟამად ყოველი დიდი სახელმწიფო სცდილობს შეჰქმნას საკუთარი ქიმიური მსხვილი მრეწველობა, როგორც მომავალ შესძლო ომის წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფ ერთ საიმედო საშუალებისა.

წარსულში ნაკლებად ჰქონდათ წარმოდგენილი ის წებოსმაგვარი, ნახშირის კუპრი, რომელიც რჩებოდა ქვანახშირის კოქსათ გამოხდის დროს ან ნავთისა და ქვანახშირიდან აირის (გაზის) მიღების დროს, რომ იგი მეიცავდა იმ ნივთიერებებს, რომლის საშუალებითაც ომში მოხმარებულ ძლიერ-ამფეთქ ნივთიერების, შხამიან აირების უმრავლესი ნაწილისა, სამედიცინო პრეპარატების დიდი რიცხვისა და ხმარებული თითქმის ყველა საღებავებისა—მიღება შეიძლებოდა.

გერმანელებს ეს ჰქონდათ შეგნებული და მათ დიდი შრომა დახარჯეს ამ ნივთიერებათა დასამზადებელ მეთოდების გამოსამუშავებლად, რისთვისაც ამ დარგში ჩაბმული ჰყავდა მსხვილი კომერციული სარეწავები. მხოლოდ ამ გვარ საშუალებით გერმანიამ შესძლო, მიუხედავად საშინელი ბლოკადისა როგორც ხმელეთიდან ისე ზღვიდან, თავის არმიისათვის მიეწოდებია სამარი სურსათი, ტანსაცმელი და საჭმელი $4^1/_2$ წლის განმავლობაში.

ამ მოვლენას მიაქციეს ყურადღება კაპიტალისტურმა ქვეყნებმა და და ყველა სცდილობს ერმანეთს არ ჩამოუვარდეს. მით უმეტეს საბჭოთა რესპუბლიკებმა უნდა მიაქციონ ყურადღება ამ მოვლენას და სათანადო ზომები მიიღონ ამისათვის. ამხ. ტროცკიმ ტფილისში სთქვა: „ბურჟუაზიას ჰყავს ავიაცია, გამრავლებული ქიმიაზედ. თუ მათ **აქვთ ქიმია, ჩვენც გვექნება ქიმია!** ქიმია შეგნებული მუშისა, უნდა გახდეს სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეთ ყოველი გლეხისა".

და ეს სიტყვები წითელ არმიის ბელადისა არ არის გადმოსროლილი ლამაზი სიტყვა: ქიმიურ მრეწველობისათვის საბჭოთა რესპუბლიკებს მრავლად მოეპოვებათ ის ნედლი მასალა, რომლისაგანაც იქმნება მსხვილი ქიმიური მრეწველობა—ქვანახშირის მადაროები და მისი მარაგი. კერძოდ ჩვენში საქართველოში, ტყვიბულისა და ნამეტნავად ტყვარჩელის ქვანახშირი—ქიმიურ მრეწველობისათვის საუკეთესო მასალას წარმოადგენს. ამ მრეწველობას შეუძლიან გაუწიოს სამსახური როგორც მშვიდობიან ცხოვრების ინტერესებს, ისე სამხედრო მიზნებს. უკანასკნელი მიზანი მოითხოვს აგრეთვე მცოდნე პირთა ყოლას. საჭიროა ქიმიის და ქიმიურ მრეწველობის მცოდნე ხალხი. ეს არის მორიგი ამოცანა საბჭოთა რესპუბლიკების.

და ჩვენ გვეყოლება ახლო მომავალში ისინი. რუსეთიდან უკვე მოდის ცნობა იმის შესახებ თუ როგორ არსდება სხვა და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში „სამხედრო ქიმიის მეგობართა" საზოგადოებანი. ჩვენც ამ მხრივ უნდა წავბაძოთ მათ და შევქმნათ ამ გვარი საზოგადოება, რომელიც ხელს შეუწყობს ფართე მასებს სამხედრო ქიმიასთან დაახლოვებ-გაცნობას.

**გ. ბარნაბიშვილი.**

## ≡ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ≡

### თეთრი ნახშირი.

ბევრი ჩვენი მკითხველისათვის ალბად გაუგებარი იქნება, თუ რას წარმოადგენს წარმოებაში ე. წ. თეთრი ნახშირი. უმეტესობას ალბად ეგონება, რომ თეთრი ნახშირი ეს იგივე ქვა ნახშირი იქნება, მხოლოდ ფერით განსხვავდება მისგანო. მაგრამ ეს ასე არ არის. თეთრი ნახშირი სულ სხვა რამეა. ვინ იცის რამდენი შრომა და ენერგია იხარჯება ჩვეულებრივი სათბობი მასალების დასამუშავებლად: შრომა-ადამიანის, საქონლის და მრავალი სხვა. ყველა ეს ელემენტები მეტად ზრდის ასეთი საშვალებით სათბობი მასალის ღირებულებას და ხშირად ის მიუწდომელიც კი არის ბევრისათვის. ავიღოთ მაგალითად შეშა, ქვანახშირი წანახში და სხვა,

მაგრამ დედამიწის ზურგზე მოიპოვებიან სათბობი მასალის ისეთი წყაროებიც, რომელთა დამუშავებისათვის საჭირო არ არის განუსაზღვრელად ენერგიისა და შრომის ხარჯვა, რადგან ისინი თვითონ თავისთავად გვეძლევიან ხელში,—ეს გახლავთ ქარისა და მოძრავი წყლის ენერგია და ამ უკანასკნელ ხანებში გამოყენებული იქნა მზის სხივების ენერგიაც. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ დიდი ხანია რაც ასეთი სახის ენერგიის გამოყენებას შეუდგენ, მათ მაინც არა აქვთ უპირატესობა მიკუთვნებული და ეს უმთავრესად ტეხნიკურად განუვითარებელ ქვეყნებში. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში წყალმა თითქმის უპირატესობა მოიპოვა ცეცხლზე და ისეთი უდიდესი მნიშვნელობით სარგებლობს წარმოებაში, რომ მას ასეთი დიდი ღირსებისათვის უწოდეს „თეთრი ნახშირი".

თეთრი ნახშირის გამოყენება უმთავრესად კარგად არის დაყენებული ტეხნიკურად განვითარებულ ქვეყნებში, რადგან იქ ამისთვის ყოველ მხრივად შექმნილია სათანადო პირობები. უმთავრესად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მის გამოყენებას გერმანიაში, ამერიკაში და სხვაგან, მხოლოდ რუსეთში კი, რომელიც ამერიკის გარდა თითქმის ყველაზე უფრო მდიდარია ამ მხრივ, თეთრი ნახშირის ხუთი პროცენტია გამოყენებული. ეს აიხსნება რუსეთის ეკონომიური და ტეხნიკური ჩამორჩენილობით, რომელიც თავის დროზე დასძლევს ამ ნაკლსაც და შესაფერად იქნება გამოყენებული ის უამრავი ენერგია, რომელიც გაფანტულია მის გადაჭიმულ სივრცეზე.

**შეიხ.**

---

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ** ჯარიდან განთავისუფლების მოწმობა № 1847/54 გაცემული სიმონ გიორგის ძე გორგაშვილის სახელზე,. ჩაითვალოს გაუქმებულად.

---

# ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲘ.

## № 1.

### ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲡ.

ამხანაგებო! ქართული წითელი ლაშქრის კოოპერატივის მე-3 რწმუნებულთა ყრილობამ აირჩია ახალი სარევიზიო კომისია. სარევიზიო კომისიამ, რომ თავისი მეთვალყურეობა შესაფერის დონემდე განავითაროს, ამისათვის საჭიროა, როგორც პირველად კოოპერატივების მდგომარეობის გაცნობა, აგრეთვე მათი გამგეების და ცენტრალურ გამგეობის მუშაობაზე თვალყურის დევნება და თავის დროზედ დეფექტების აღნიშვნა.

გასული წლის პრაქტიკამ დაგვიმტკიცა, რომ უსათუოთ საჭიროა სარევიზიო კომისიამ გამოყოს ერთი წევრი მუდმივი სამუშაოთ; მაგრამ, თავის თავათ ცხადია ვერც მუდმივ მომუშავეს და ვერც სარევიზიო კომისიას არ ექნება საშუალება, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე თვალყური ადევნოს პირველ დაწყებითი კოოპერატივებს და მათი გამგეების მუშაობას. ამისათვის სარევიზიო კომისია გთხოვთ დაიჭიროთ მასთან უშუალო კავშირი ყოველივე სავაჭრო და საორგანიზაციო საკითხების გარშემო თქვენ მიერ შემჩნეულ დეფექტების შეტყობინებით, რის შემდეგ სარევიზიო კომისიას საშუალება მიეცემა მიიღოს შესაფერი ზომები. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაფერი აპარატის უყოლობის გამო, სარევიზიო კომისია ვერ შესძლებს თავის დროზედ მიაქციოს ყურადღება ამ მხარეებს, რაც საქმეს დიდ ზიანს მოუტანს.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე: **ლ. ჩანტლაძე.**

კომისიის წევრი—მდივანი: **ელ. კალანდაძე.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. **ჩანტლაძე.**